

## ბრძანება

26 ივლისი 2017წ.

თბილისი

№ 462/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივლისის №619 ბრძანების გათვალისწინებით,

### ვბრძანებ:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
  1. იასოდა ჯაიაგანი ბამუნუარაჩჩიგე- შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე;
  2. შერინ სარა ჯოსე- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
  3. ნილა ჰარიკრიშნან ნაირ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
  4. ბრიტტი ლიი ბაბუ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე.
- II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
  1. აბდოლრაჰმან აბედი- ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე;
  2. არმითა გოლჩეჟ- თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე.
- III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე- დავით აბულაძე.

IV. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე-ფარაპ მარიკარ.

V. ამ ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2017 წლის 01 დეკემბრამდე.


VI. ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 ნოემბრამდე.

VII. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლებების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას და თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს.

VIII. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

IX. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

X. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი